

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი



შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან

დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 1
“7” “თებერვალი” 2011 წელი

დირექტორი:

ე. ბაბუნაშვილი

რექტორი:

ლ. ქელბაქიანი

ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

შიფრი: 3401026A

პროგრამის ხელმძღვანელი: სრ. პროფ. გ.ღავთაძე
კოორდინატორები ასოც.პროფ. დ.მალაქელიძე
ასოც.პროფ. გ. უფლისაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

მეორე - მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

სწავლების ენა:

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

საუნივერსიტეტო საგნები - 25 კრედიტი

საფაკულტეტო საგნები - 45 კრედიტი

არჩევითი სპეციალიზაციის მოდული - 50 კრედიტი

სულ - 120 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ზეპირ გამოცდაში დადებითი (მინიმალური 51 ქულა) შეფასების მიღება.

ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიიღებიან:

1. საქართველოს ყველა აკრედიტებული (არაკრედიტებული 2006-2007 ს/წ ჩათვლით) უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ბაკალავრები, ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, რომელთა საშუალო აკადემიური მოსწრება არის არანაკლებ 3,5 ქულა; ან ECTS სისტემით არანაკლებ 61 ქულა
2. უმაღლესი განათლების მქონე უცხოეთის მოქალაქეები.
3. არაპროფილური უმაღლესი განათლების მქონე პირები სპეციალობის შეცვლის მიზნით.

სამაგისტრო პროგრამის დახასიათება

სფეროს აღწერა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის პროფესიონალი კადრების მომზადება. ორგანიზაციებში იგულისხმება საჯარო, კერძო და არაფორმალური, სხვადასხვა ზომის და სტრუქტურის მქონე ორგანიზაციები. სხვადასხვა ბიზნესები მნიშვნელოვან წამყვან როლს ასრულებენ საზოგადოებასა და ეკონომიკაში: ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოებას საქონლითა და მომსახურებით; ქმნიან სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფენ საზოგადოებას განვითარების პირობებით; იხდიან გადასახადებს, რომელიც ხმარდება მთელ რიგ

სოციალურ პროექტებს; ახდენენ საკუთარი მოგების რეინვესტირებას ეკონომიკაში და ამით ამაღლებენ მთელი საზოგადოების ცხოვრების დონესა და ხარისხს.

ბიზნეს-განათლების პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ადამიანების პროფესიონალური განათლება და მომზადება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში აწარმოებენ, ხელს უწყობენ და მართავენ ორგანიზაციებსა და მიზნად ისახავენ ეფექტიანობას და/ან მოგების მიღებას.

ბიზნეს-განათლების შინაარსს უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ის, რომ მას ყავს ორი მთავარი მომხმარებელი: ორგანიზაციები და ინდივიდები.

ბიზნეს-განათლების მიზანს წარმოადგენს:

- **ორგანიზაციის, მისი მართვისა და შესაბამისი სწრაფცვალებადი გარემოს შესწავლა.** ბიზნესის გარემოს ახასიათებს მუდმივი ცვლილებები ტექნოლოგიაში, მზარდი გლობალიზაცია, მზარდი კულტურული მრავალფეროვნება, ეთიკური ნორმების პატივისცემა და მოთხოვნები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისადმი.
- **ბიზნესისა და მართვის სფეროში კარიერისათვის მომზადება.** რაც ნიშნავს ბიზნესის სფეროში სპეციფიური ცოდნის და უნარების შექმნას, ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების გაგებას, ასევე იმ თვისებების გამომუშავებას, რომელიც აუცილებელია ბიზნესის კარიერულ საფეხურზე წინსვლისათვის

ბიზნეს განათლებას მიეკუთვნება პირველ რიგში ბიზნესის ადმინისტრირება - ადამიანების და რესურსების ეფექტური ორგანიზების უნივერსალური პრინციპი, რომელიც მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისათვის. გარდა ამისა, ბიზნეს განათლებას მიეკუთვნება ცალკეული ფუნქციონალური სფეროს კონცენტრირებული შესწავლა: ზოგადი მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, საბანკო საქმე, საბუღალტრო აღრიცხვა, ადამიანური რესურსების მართვა, ინვესტიციები და სხვა.

პროგრამის რაციონალური საფუძვლები

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად დაგროვილი გამოცდილების, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებელთა უშუალო ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით:

- უნივერსიტეტი ყოველმხრივ ზრუნავს საკუთარ კურსდამთავრებულთა ურთიერთობების შენარჩუნებაზე, ამ მიზნით ჩამოყალიბებულია კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რამდენიმე მათგანი თავად განაგრძობს მუშაობას ჩვენს უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციაზე;
- სასწავლო პროგრამების განხილვა-შემუშავებაში უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს პროგრამების ეფექტურად მუშაობის მონიტორინგს, ტარდება სტუდენტთა აზრის კვლევა-განალიზება;
- უნივერსიტეტში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობა პარალელურად მუშაობს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო საფინანსო და საბანკო ინსტიტუტებში, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა შედგენილია მათი უშუალო მონაწილეობით, რაც თავისთავად გულისხმობს დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინებას.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

შეზღუდული რესურსების პირობებში სამეურნეო სუბიექტები დადგენენ მრავალი პრობლემის წინაშე, ამას ემატება კონკურენტული გარემოს მკაცრი მოთხოვნა - ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა, რომლის მოწესრიგება უპირველესად ხორციელდება აღრიცხვიანობის სწორი და მეცნიერულად ორგანიზებული წარმოებით. შესაბამისად, მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა აღრიცხვა, ანალიზისა და აუდიტის სპეციალისტებზე.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

დღევანდელ ბიზნეს გარემოში ბუღალტრის პროფესია შთამბეჭდავი კარიერის გაკეთების შესაძლებლობა აძლევს დაინტერესებულ პირებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში თავს უყრის ყველა აუცილებელ და საჭირო დისციპლინებს, როგორებიცაა: ფინანსური აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, აუდიტი, გადასახადები, მათი აღრიცხვა და ანგარიშგება, მმართველობითი აღრიცხვა და ა.შ. პროგრამა დაეხმარება მაგისტრანტებს გამოიმუშაონ ძლიერი ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

მიზნის მისაღწევად პროგრამას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

- სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე ორგანიზება;
- სასწავლო პროგრამების მუდმივი განახლება ქვეყნის, რეგიონის შრომის ბაზრის და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებისა და მოთხოვნების კვლევა-ანალიზის საფუძველზე;
- მჭიდრო კავშირის დამყარება საფინანსო-ეკონომიკურ და საბანკო სექტორებთან;
- უახლესი სასწავლო მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში;
- პროფილურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მაგისტრანტთა პრაქტიკის გავლის მიზნით;
- მაგისტრანტებში მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება.

აღნიშნული სპეციალიზაციის არჩევის შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

პროგრამის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს გამოიმუშავებული უნდა ექნეს შემდეგი კომპეტენციები:

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

- ფლობდეს მომხმარებლისათვის აღქმადი, მათი მოთხოვნების შესაბამისი, ურთიერთშედარისი და საიმედო სააღრიცხვო ინფორმაციის მომზადების და ამგვარი ინფორმაციის წაკითხვის, აღქმისა და გაანალიზების ტექნიკას;
- შეძლოს ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ები) შესაბამისად;
- სრულყოფილად ფლობდეს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მომზადებისა და გადაცემის ტექნიკას, განახორციელოს კომპანიაში მმართველობითი აღრიცხვის წარმოების ორგანიზაცია დანახარჯთა აღრიცხვის თანამედროვე სისტემების შესაბამისად;
- აუდიტის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეასრულოს კონკრეტული ამოცანები (ინფორმაციის შეკრება, დაჯგუფება, ანალიზი, შუალედური დასკვნების მომზადება და ა.შ.) სერტიფიცირებული აუდიტორის საერთო კოორდინაციის ქვეშ;
- სათანადო პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების დაგროვების შემდეგ წარმატებით გაიაროს აუდიტორთა სასერტიფიკატო გამოცდის ის ნაწილი, რომელიც შეეხება უშუალოდ აუდიტს.
- გააჩნდეს ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის უახლესი თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- გააჩნდეს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, ლოჯისტიკის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ზოგადი მენეჯმენტის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აცნობიერებდეს მათ ურთიერთზემოქმედებას;
- სრულად ფლობდეს სათანადო ტერმინოლოგიასა და ბიზნესის სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;

- აცნობიერებდეს სამართლებრივ, ეთიკურ, კროსკულტურულ და სოციალურ პასუხისმგებლობას ორგანიზაციაში და საზოგადოებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/ პრაქტიკული უნარები

- ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება-სრულყოფა ბიზნესორგანიზაციებში;
- აუდიტორული საქმიანობის წარმართვა;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მათი გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის მრავალ სფეროში;
- ფინანსური ინფორმაციის მიღება და მასზე დაყრდნობით ეკონომიკური ანალიზის წარმართვა;
- საქმიანობის სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება და სისტემატიზირება;
- ბუღალტრული საქმისწარმოების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება და გამოყენების უზრუნველყოფა;
- სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის გავრცელებული მეთოდებით საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგების გაანალიზება და სტრატეგიის განსაზღვრა და ა.შ.
- ლიდერის უნარი ორგანიზაციაში;
- ცოდნის გამოყენების უნარი ახალ და უცნობ გარემოში, გარკვეული დისციპლინების დებულებების კონცეპტუალური გაგების გზით;
- წინასწარ არაპროგნოზირებად გარემოში ადაპტაციის უნარი;
- ორგანიზაციაში პროცესების მართვის დამატებითი უნარები: პროცესების რუკების შექმნა და გამოყენება, ბიზნეს-პროცესების მონაწილეების განსაზღვრა და სხვა;
- ფინანსური ბაზრების ანალიზი, სტრატეგიული ფინანსური გეგმის შედგენა, საინვესტიციო წინადადების მომზადება და ანალიზი, რისკების შეფასება და სხვა;
- კონკრეტული პრობლემებისადმი დისციპლინათაშორისო სისტემური მიდგომის გამოყენება
- ტაქტიკურ და სტრატეგიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი;

კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები

- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეეძლება რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების/სფეროების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური მიწოდება;
- შეეძლება კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, ბიზნესის სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით.
- შეეძლება არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები;
- შეეძლება განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსის გამოყენება;
- დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს (საჭიროების შემთხვევაში უხელმძღვანელებს) სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კომუნიკაციის უნარი

- შეეძლება მშობლიურ ენაზე აკადემიურ და ბიზნეს საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია; საქმიანი ეტიკეტის დაცვა; მოლაპარაკების ჩატარება;
- ეცოდინება ერთ-ერთი ევროპული ენა B2 დონეზე – პროფესიონალი მოსაუბრე ბიზნესის სფეროში

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები

- შეეძლება ახალი სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების დამოუკიდებელი ათვისება;
- ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო სისტემების და პროგრამების პროექტირებაში მონაწილეობის მიღება.

სოციალური უნარები

- შეეძლება ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში;
- შეეძლება ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება;
- შეეძლება კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება;
- პატივის სცემს ჯგუფის წევრების ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას;

სისტემური უნარები

- შეძლებს გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი;
- დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.
- შეძლებს კვლევითი და ბიზნეს პროექტების შემუშავებას და მართვას.
- იქნება დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს;
- შეძლებს ბალანსის დაცვა სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის

ღირებულებები

პროგრამა მაგისტრანტს ჩამოუყალიბებს უნარს კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი, ისე კოლეგების პროფესიული ღირებულებები (კომპეტენტურობა, პატიოსნება, ობიექტურობა და ა.შ.) და მონაწილეობა მიიღოს მათი ჩამოყალიბების პროცესში.

სწავლების სტრატეგია

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიხედვით დისციპლინების შესწავლა ეფუძნება თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებსა და საქართველოში დაგროვილ საუკეთესო გამოცდილებას, თეორიასა და პრაქტიკას. სპეციალური პროფესიული დისციპლინები ისწავლება სწავლების პირველივე წლიდან.

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის, საფინანსო-ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები, სხვადასხვა უნივერსიტეტების და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები.

სწავლების სტრუქტურა ეფუძნება ლექცია-სემინარების ჩატარებას. სალექციო მეცადინეობების შედეგები ასახვას პოულობს ცალკეული თემის თეორიული არსის გააზრებასა და მიღებული შედეგების განზოგადებაში. ლექციებზე მაგისტრანტები მონაწილეობენ დებატებში, ხოლო ცოდნის გაღრმავება, დაკონკრეტება და კონკრეტული განხილვა ხდება სემინარებზე. სემინარების მომზადებასთან ერთად სწავლება ითვალისწინებს წერილობითი დავალებების შესრულებას. ეწყობა შუალედური და საბოლოო გამოცდები. პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცების მიზნით, მაგისტრანტები გაივლიან პრაქტიკას შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. მეოთხე სემესტრის მანძილზე ამუშავებენ სამაგისტრო ნაშრომს და დასაცავად წარადგენენ კომისიის წინაშე.

მოცემული პროგრამის მიხედვით მეცადინეობები ტარდება სწავლების თანამედროვე მეთოდების - კონკრეტული სიტუაციების ანალიზის, პრაქტიკული სავარჯიშოების, საქმიანი ქაღალდების ანალიზის, საქმიანი თამაშების, ჯგუფური პროექტების, პრობლემებისა და მიზნების ხის, «ქმედებით სწავლების» და სხვათა მიხედვით. მოცემული მეთოდიკა საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აითვისონ შესასწავლი დისციპლინები და განავითარონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, შეიძინონ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება, გამოიმუშაონ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ა.შ.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	მოდულის დასახელება	სულ				1 სემესტრი				2 სემესტრი				3 სემესტრი				4 სემესტრი				
		კრ	აუდ.	ინდ	სულ	კრ	აუდ.	ინდ	სულ	კრ	აუდ.	ინდ	სულ	კრ	აუდ.	ინდ	სულ	კრ	აუდ.	ინდ	სულ	
I	საუნივერსიტეტო საგნების მოდული																					
I.1	სავალდებულო საგნები																					
I.1.1	ბიზნეს უცხო ენა 1	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
I.1.2	ლიდერული უნარჩვევების განვითარება	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0	
I.1.3	ბიზნეს უცხო ენა 2	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0	
I.1.4	ბიზნეს უცხო ენა 3	5	45	80	125			0	0			0	0	5	45	80	125			0	0	
	სულ სავალდებულო საგნები	20	180	320	500	5	45	80	125	10	90	160	250	5	45	80	125	0	0	0	0	
I.2	არჩევითი საგნები																					
I.2.1	ეკონომიკის ფილოსოფია	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
I.2.2	ბიზნესის ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
I.2.3	სოციოლოგია	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
I.2.4	კონფლიქტოლოგია და PR-ტექნოლოგიები	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
	სულ არჩევითი საგნები	20	180	320	500	20	180	320	500	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	
	სულ საუნივერსიტეტო საგნები	25	225	400	625	10	90	160	250	10	90	160	250	5	45	80	125	0	0	0	0	
II	საფაკულტეტო საგნების მოდული																					
II.1	სავალდებულო საგნები																					
II.1.1	ფინანსური მენეჯმენტი	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
II.1.2	მენეჯერული აღრიცხვა გადაწყვეტილების მიღებისათვის	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0	
II.1.3	საერთაშორისო ბიზნესი	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0	
II.1.4	მარკეტინგ-მენეჯმენტი	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0	
II.1.5	სტრატეგიული მენეჯმენტი	5	45	80	125			0	0			0	0	5	45	80	125			0	0	
II.1.6	ეკონომიკური და ფინანსური რისკები	5	45	80	125			0	0			0	0	5	45	80	125			0	0	
II.1.7	პროფესიული პრაქტიკა	5	0	125	125			0	0			0	0			0	0	5		125	125	
	სულ სავალდებულო საგნები	45	360	765	1125	10	90	160	250	5	45	80	125	15	135	240	375	15	90	285	375	

II.1	არჩევითი საგნები																				
II.1.1	მეზოეკონომიკა	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0
II.1.2	საფონდო ბირჟების სტატისტიკა	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0
II.1.3	საერთაშორისო მარკეტინგი	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0
II.1.4	ფინანსური ინსტიტუტები	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0
	სულ არჩევითი საგნები	20	180	320	500	0	0	0	0	20	180	320	500	0	0	0	0	0	0	0	0
	სულ საფაკულტეტო საგნები	50	405	845	1250	10	90	160	250	10	90	160	250	15	135	240	375	15	90	285	375
III	სპეციალიზაციის საგნების მოდულები																				
III.2	ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი																				
III.2.1	ფინანსური აღრიცხვა II	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0
III.2.2	საგადასახადო და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა	5	45	80	125	5	45	80	125			0	0			0	0			0	0
III.2.3	ფინანსური ანალიზი	5	45	80	125			0	0	5	45	80	125			0	0			0	0
III.2.4	ფინანსური კონტროლი და აუდიტი	5	45	80	125			0	0					5	45	80	125			0	0
III.2.5	ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	5	45	80	125			0	0			0	0	5	45	80	125			0	0
III.2.6	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები	5	45	80	125			0	0			0	0	5	45	80	125			0	0
III.2.7	სამაგისტრო ნაშრომი	15	30	345	375			0	0			0	0			0	0	15	30	345	375
	სულ	45	300	825	1125	10	90	160	250	10	90	160	250	10	90	160	250	15	30	345	375
	სულ სამაგისტრო პროგრამით:	120	930	2070	3000	30	270	480	750	30	270	480	750	30	270	480	750	30	120	630	750

დასაქმების სფერო

ბუღალტრული აღრიცხვის მაგისტრები წარმატებით იმუშავენ ფინანსურ მენეჯერებად, მთავარ ბუღალტრებად, აუდიტორებად, ფინანსურ ანალიტიკოსებად, ბიზნეს ანალიტიკოსებად. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმატებით შეეძლება დასაქმება საშუალო და მაღალი დონის მმართველობით რგოლებში, როგორც საჯარო მართვის, ისე კერძო სექტორებში, ბიზნესორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. კერძოდ:

- ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებადი კერძო კომპანიების მმართველობითი რგოლები თუ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;
- სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები და საკრედიტო დაწესებულებები: საინვესტიციო კომპანიები და ფონდები, კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, საფონდო და სავალუტო ბირჟები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და ა.შ.;
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საკონსულოები თუ სხვადასხვა დიპლომატიური წარმომადგენლობები;
- შესაბამისი მიმართულების მქონე საქართველოს სამინისტროები და მათი ტერიტორიული რგოლები;
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციები და საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები და ა.შ.;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს მაგისტრანტის მიერ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალური დისციპლინების სწავლების შედეგები სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების ძირითადი პრინციპები:

- გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპი - შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- სამართლიანობის პრინციპი - ყველა სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი, წინასწარ განსაზღვრული სტანდარტით მიდგომა.

ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რომელიც ფორმირებულია ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მოთხოვნების გათვალისწინებით.

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81% და მეტი - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71% და მეტი - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61% და მეტი - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.
- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. ამ შემთხვევაში სტუდენტის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული არ იქნება საგნის სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვებული ქულათა ჯამი, ის ჩააბარებს მხოლოდ ფინალურ გამოცდას, რომლის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 90%-ით.

მაგისტრანტის საბოლოო შეფასებაში დაფიქსირდება ნიშანი, რომელიც გამოითვლება შეფასების ცალკეულ კომპონენტში მიღებული ქულის შესაბამისი პროცენტული წილების ჯამით. კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი მოაგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

სტუდენტის შეფასებისათვის ქუ-ში გამოიყენება ერთიანი საუნივერსიტეტო მოდელი. კურსის შეფასების განსხვავებული მოდელის არსებობის შემთხვევაში, ის შეთანხმებული უნდა იყოს, როგორც ფაკულტეტის დეკანთან, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

შენიშვნა: პროცენტული წილების განაწილებისას ქუნივერსიტეტის მიერ დადგენილია შემდეგი შეზღუდვები, დასწრება-აქტივობისთვის არაუმეტეს 15%-ისა, ფინალური გამოცდისათვის - 40%, დანარჩენ კომპონენტებს საგნის ლექტორი თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს, რაც აისახება მის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში წარმოდგენილ სილაბუსში. ყოველკვირეული და შუალედური გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს ტესტის სახით, მაგრამ არა ფინალური გამოცდა.

მაგისტრანტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- სტუდენტის შეფასების ყოველი ცალკეული კომპონენტი (გარდა დასწრება-აქტივობისა) ფასდება 100 ქულიანი სისტემით, მინიმალური დადებითი ქულაა 50, უფრო დაბალი შეფასების მიღების შემთხვევაში, უწყისში გადადის 0 ქულა.
- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.

შეფასების სისტემის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის შეფასების დებულებაში.

ქუთაისის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი მიღწეული წარმატებების მიხედვით კურსდამთავრებულებს ანიჭებს ორი კატეგორიის დიპლომს:

- ათვისებული კრედიტების 75% - A შეფასება, ხოლო 25% B ან C შეფასება – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით.
- ყველა საგამოცდო საგანში დადებითი შეფასება - ჩვეულებრივი დიპლომი: კარგი ზოგადი განათლებით.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა. ასეთ შემთხვევაში ის იხდის საგნის იმ ღირებულებას, რაც არის დადგენილი საგნის ხელმეორედ აღების პერიოდისათვის.

დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, სურვილის შემთხვევაში, აქვს უფლება სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს:

- ქუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- ქუ-ის სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრის წყაროები და რესურსები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების პირადი ბიბლიოთეკა;
- ქ. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა და სახელმწიფო არქივი;
- Ebscohost ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელი;
- ქუ-ს კომპიუტერული ლაბორატორიები.

ლაბორატორები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რაც მაგისტრანტებს მისცემს საშუალებას ისარგებლონ ინტერნეტ-რესურსებით, დაამუშაონ სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები, მოახდინონ საკუთარი სამაგისტრო ნაშრომების კომპიუტერული დამუშავება, მოამზადონ და მოაწყონ პრეზენტაციები და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, ქუთაისის უნივერსიტეტი აღჭურვილია საკმარისი სასწავლო კაბინეტებით, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზებით, თანამედროვე კომპიუტერებით, საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობით, რაც განაპირობებს მაგისტრანტთა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების სათანადო დონეზე წარმართვას.

ადამიანური რესურსები:

1. **კაკულია რევაზი** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
2. **ღავთაძე გიორგი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი.
3. **ჩიხლაძე ნიკო** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.
4. **ბასარაია რევაზი** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
5. **ბაბუნაშვილი ეკატერინე** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
6. **შალამბერიძე ხათუნა** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
7. **უფლისაშვილი გურამი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
8. **ბაკურაძე აკაკი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
9. **ვირსალაძე ნაირა** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

10. *მაღლაკელიძე დეზდემონა* - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
11. *გვილავა რუსუდანი* - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
12. *კორძაძე თეა* - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
13. *სვანაძე სერგო* - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანთა ანოტაციები

საუნივერსიტეტო საგნების მოდული

სავალდებულო საგნები

ბიზნეს უცხო ენა - კრედიტი 15

ENG517 ბიზნეს უცხო ენა 1- 5 კრედიტი

ENG518 ბიზნეს უცხო ენა 2- 5 კრედიტი

ENG619 ბიზნეს უცხო ენა 3- 5 კრედიტი

მოდულის მიზანია უცხო ენაზე საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების სრულყოფა, მყარი საფუძვლის შექმნა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, შესაბამისი კონკრეტული სამეცნიერო ლექსიკისა და ტერმინოლოგიის დაუფლება, დამოუკიდებელი მუშაობა მხატვრულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტექსტებზე.

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი უნდა ფლობდეს აღნიშნულ ენებში C1 დონეს.

MGM 614 ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება

საგნის, „ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება“ სწავლების მიზანია მაგისტრები გაერკვნენ ლიდრობის არსში, დაეუფლონ ლიდერულ უნარ-ჩვევებს, გაეცნონ არჩეული სპეციალობის პროფესიულ მახასიათებლებს, დაეუფლონ გუნდურ მუშაობას. მაგისტრანტებს ჩამოუყალიბოს ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის, ლოგიკური აზროვნების, შეხედულებათა დასაბუთების, სიტუაციის რეალური შეფასებისა და სათანადო მუშაობის წარმართვის უნარი. ეს უნარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტის მომავალი პროფესიონალიზმისათვის.

არჩევითი საგნები

SOC 007 ეკონომიკის ფილოსოფია

ეკონომიკის ფილოსოფია წარმოადგენს დარგობრივი მეცნიერული და თეორიული ცოდნის სახეს. იგი მომდინარეობს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საბაზო წანამძღვრებიდან, რომლის არსიც მდგომარეობდა საზოგადოების ისტორიულ მამომრავებელ ძალებში, ეკონომიკის ძირითადი ფაქტორების როლის განსაზღვრაში. საგნის მიზანია მაგისტრანტებს დაეხმაროს ეკონომიკის ფილოსოფიის გაგებაში, რაც ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წარმოქმნილ ურთიერთობაზე აისახება. კურსის ფარგლებში შეისწავლება ის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც მოთხოვნა-მიწოდებას არეგულირებს, ან პირიქით დისბალანსს წარმოქმნის. ეკონომიკის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი ბაზრის ფილოსოფიაა.

BUZ 003 ბიზნესის ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია

ეკონომიკური ფსიქოლოგიის დისციპლინის დაუფლების მიზნებსა და ამოცანებში შედის ვაჩვენოთ სტუდენტებს, რომ თანამედროვე ეკონომიკური მსოფლმხედველობა გულისხმობს არა მარტო ეკონომიკური ცოდნის, არამედ ფსიქოლოგიური და, კერძოდ, სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის დაუფლებას. ეკონომიკური პრობლემების ანალიზი, ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგების ზუსტი წინასწარმეტყველების შეუძლებლობა და განუსაზღვრელობა მოწმობს იმას, რომ ეკონომიკური განვითარების ეფექტური ვარიანტების ძებნა მოითხოვს ადამიანების ქცევის ფსიქოლოგიური კანონების უფრო ღრმა ცოდნას.

SOC 008 სოციოლოგია

სოციოლოგია შეისწავლის საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმის კანონებს და ტენდენციებს. სტუდენტებს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ სოციოლოგიაზე, როგორც ისეთ მეცნიერულ ხედვაზე, რომლის არეალში მუდმივად ხდება საზოგადოების არსებობის, ცვალებადობისა და განვითარების ფაქტორები, თავისებურებანი, ფორმები და რაც მთავარია და რისკენაც მიისწრაფვის კაცობრიობა – პროგრესი. ამ მიმართებით სოციოლოგიას აქვს თავისი ფუნქციები და მეთოდები. სოციოლოგიის მიზანია ის, რომ მომავალმა თაობამ ალლო აუღოს შეცვლილ ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს, მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს, სხვადასხვა სახელმწიფოთა ეკონომიკების ურთიერთშეღწევა-გადაჭდობის, სამეურნეო ცხოვრების წესების უნიფიკაციას, ინტერნაციონალიზაციის და, საერთოდ, კულტურათა მსოფლიო დონეზე წარმოდგენის, ინტეგრაციის კანონზომიერ პროცესებს.

MGM 018 კონფლიქტოლოგია და PR ტექნოლოგიები

მოცემული კურსი ეძღვნება საზოგადოებასთან ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკას. სტუდენტები ისწავლიან თუ რა არის საზოგადოებასთან ურთიერთობები, როგორია მისი ფუნქციები ორგანიზაციაში, როგორია მისი გავლენა საზოგადოებაზე. კურსი მიმოიხილავს მოცემული დარგის ევოლუციას, საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტების როლებსა და პასუხისმგებლობებს, რომელიც მათ ეკისრებათ სხვადასხვა ორგანიზაციულ გარემოში, იმ არსებით საკითხებსა და ტენდენციებს, რომელებიც განსაზღვრავენ მოცემული სფეროს პრაქტიკას. გარკვეული დრო ეთმობა იმის ანალიზს, თუ რა განასხვავებს საზოგადოებასთან ურთიერთობას ჟურნალისტიკის, რეკლამისა და მარკეტინგისგან. კურსი ასევე განიხილავს დარგის ეთიკურ პრინციპებს და იმას, თუ როგორ ახდენენ ფასეულობები გავლენას ორგანიზაციის უნარზე ააწყოს წარმატებული დამოკიდებულება საზოგადოებასთან.

საფაკულტეტო საგნების მოდული

სავალდებულო საგნები

MGM 510 ფინანსური მენეჯმენტი

ასოცირებული პროფესორი გურამ უფლისაშვილი

საგნის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ ფინანსების, როგორც შემოსავლების განაწილების ინსტრუმენტის, მიზნობრივ გამოყენებას. საგანი მაკროდონეზე მოიცავს სახელმწიფო ფინანსების დაგეგმვის, ორგანიზაციის მოტივაციისა და საკონტროლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიან შესწავლას: მიკროდონეზე კი კორპორაციის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსის, ფულის ნაკადების ბალანსის მართვას, რისკისა და დროითი ფაქტორების გათვალისწინებით.

FIN 514 საგადასახადო და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა

„საგადასახადო და საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის“ კურსის მიზანია საგადასახადო-საბაჟო ურთიერთობათა სფეროს შესწავლის საფუძველზე, განსაზღვრულ იქნას ზოგადად დაბეგვრის არსებული მდგომარეობა, საქართველოსა და საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების მაგალითები. სასწავლო კურსი ორიენტირებულია საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით რეგულირებული ურთიერთობების, საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის საფუძვლების და მათი შემუშავების პრინციპებისა და მეთოდების განხილვა-შესწავლაზე. კურსის ფარგლებში განიხილება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მაგალითები და ის ტენდენციები, რომლებიც იკვეთება განვითარების თანამედროვე ეტაპზე. საკითხების განხილვის პროცესში აქცენტი კეთდება იმ ცვლილებებზე და თავისებურებებზე, რაც გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ცალკეული ქვეყნების საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში.

MGM 511 მენეჯერული აღრიცხვა გადაწყვეტილების მიღებისათვის

აღრიცხვის თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკაში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში გამოყოფილია ორი ქვესისტემა: ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა. ისინი იზოლირებულად, რა თქმა უნდა, არ არსებობენ, მაგრამ აღრიცხვის ობიექტითა და ზოგადობის ხარისხით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ყოველ მეწარმეს მოგების რეალური ამალღების მიღწევა მხოლოდ მის ხელთ არსებული რესურსების მარალ ორგანიზებული მართვისა და კონტროლის მეთოდებით შეუძლია. ამ მიმართულებით აუცილებელია მენეჯმენტი უზრუნველყოფილი იქნას რესურსების არსებობისა და გამოყენების შედეგების ამსახველი ინფორმაციული ბაზით, რომელსაც მხოლოდ მენეჯერული აღრიცხვა ამზადებს.

BUZ 504 საერთაშორისო ბიზნესი

საერთაშორისო ბიზნესი, საზოგადოდ, ბიზნესის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მოცემული კონკრეტული ქვეყნის მასშტაბებს სცილდება, მოიცავს მრავალდარგოვან სამეურნეო ურთიერთობებს და გავრცელების ფართო არეალი აქვს. ყოველი ქვეყანა განსაზღვრული სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებით, პირობებითა და განვითარების დონით ხასიათდება. მრავალეროვნული კორპორაციები წარმატებული საქმიანობისათვის დეტალურად სწავლობს პოლიტიკისა და სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარემოს ურთიერთზემოქმედების შესაძლებელ გზებს და გადაწყვეტილებებსაც მის მიხედვით ღებულობენ. საგნის მიზანია მაგისტრანტებს გააცნოს ის ცვლადი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გარემო, რომელშიც იწარმოება ბიზნესი თანამედროვე მსოფლიოში. შეისწავლიან იმ პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორ წამოვიწყოთ პატარა, მცირე ან საშუალო ბიზნესი.

MGM 512 მარკეტინგ-მენეჯმენტი

კურსის მიზანია მაგისტრანტი დაეუფლოს კონკურენციის პირობებში კომპანიების (ფირმების) ეფექტიანი მართვისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მიზნობრივ მომხმარებლებთან ინოვაციური მიდგომის გზით მათი მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის ფასეულობათა შექმნის ხელოვნებას, მარკეტინგული პროგრამების სწორი მენეჯმენტის განხორციელების საფუძველზე; შეისწავლოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძვლები, შესძლოს მეწარმეობის ახალი პირობებისადმი ადაპტაცია. წარმოდგენილ კურსში მსმენელები შეისწავლიან მარკეტინგის ძირითად მეთოდოლოგიურ კონცეფციებსა და პრაქტიკულ მეთოდებს, პროდუქციის შექმნის, წარმოების და რეალიზაციის, საქონლის მიმოქცევის ორგანიზაციის და პროდუქციის გავრცელების, ფასწარმოქმნის, გაყიდვების სტიმულირების და სხვა მარკეტინგული პრობლემების

გადაწყვეტის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. კონკრეტული სიტუაციების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე გამოიმუშავენ მარკეტინგული საქმიანობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

MGM 615 სტრატეგიული მენეჯმენტი

სტრატეგია ბიზნესთან მიმართებაში გულისხმობს კონკურენტუნარიან მოქმედებებსა და მიდგომებს, რაზეც დამოკიდებულია ფირმის წარმატებულად მართვა. კომპანიის სტრატეგია არის - მართვის კომპლექსური გეგმა, რომელიც მიმართულია ბაზარზე მისი პოზიციების გამყარებისკენ, მომხმარებელთა მოზიდვისა და დაკმაყოფილებისაკენ, წარმატებული კონკურენციისა და დასახული მიზნების მიღწევისაკენ.

მენეჯერები შეიმუშავენ სტრატეგიას, რათა განსაზღვრონ - რომელი მიმართულებით განვითარდება კომპანია და მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები კონკრეტული მოქმედების არჩევანის დროს. სტრატეგიის გარეშე მენეჯერს არ გააჩნია დეტალურად გათვლილი სამოქმედო გეგმა და ერთიანი სამოქმედო პროგრამა სასურველი შედეგების მისაღწევად.

FIN 615 ეკონომიკური და ფინანსური რისკები

ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობა და მიღებული გადაწყვეტილებები დაკავშირებულია სხვადასხვა სახის საფრთხეებთან, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ დასახული მიზნების მიღწევაზე. ბიზნესორგანიზაციას უწევს ქმედება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში. შესაბამისად, რისკების კლასიფიკაციას და მათი სპეციფიკის შესწავლას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

კურსის ძირითადი მიზანია მაგისტრანტებისათვის ეკონომიკური და ფინანსური რისკების ანალიზის, შეფასების, მათი პრევენციისა და შემცირების მეთოდების შესწავლა. ძირითადი მიზნის მიღწევის პროცესში, საგნის სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება შემდეგ საკითხებზე: ეკონომიკური და ფინანსური პროცესების რაოდენობრივ და თვისობრივ ასპექტებზე ცოდნის გაღრმავება და გაფართოება; რისკების ანალიზისა და შეფასების, მათი ეფექტიანად მართვის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესწავლა; რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში ოპტიმალური გადაწყვეტილების უნარის გამოიმუშავება და გადაწყვეტილების მიმღები პირის ფსიქოლოგიური ქცევის შეფასება; რისკის შემცირების ძირითადი მეთოდებისა და გზების განხილვა; ოპტიმალური ინვესტიციური პორტფელის ფორმირების შესაძლებლობის განვითარება.

პროფესიული პრაქტიკა

პროფესიული პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი დაეხმარება სტუდენტებს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთმანეთთან შეჯერებაში, მათ დახვეწა-განვითარებაში.

პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობა.

არჩევითი საგნები

ECON 013 მეზოეკონომიკა

„მეზოეკონომიკა“ წარმოადგენს ეკონომიკურ დისციპლინათა ციკლის ნაწილს. მისი შესწავლა, უზრუნველყოფს მაგისტრანტისათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოიმუშავებას საბაზრო ორიენტაციის მქონე ეკონომიკისათვის ცალკეული რეგიონის დონეზე.

სასწავლო კურსის შესწავლის მიზანია გაუღრმავოს მაგისტრანტს ცოდნა მეზოეკონომიკური თეორიების და მოდელების შესწავლაში, რეგიონული და მუნიციპალური წარმონაქმნების

ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიული მიდგომების მიხედვით, მათი განვითარების პროგნოზირების, საერთო პოლიტიკის ფორმირების ინსტრუმენტებისა და კვლევის მეთოდების დაუფლებაში, რეგიონების განვითარების კანონზომიერებათა შესწავლაში.

STAT 004 საფონდო ბირჟების სტატისტიკა

საფინანსო ბაზარი საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. მასზე მიმოიქცევა ფასიანი ქაღალდები, ეროვნული და უცხოური ვალუტა, მისი მეშვეობით წყდება როგორც სახელმწიფო, ისე ცალკეული ბიზნესმენისა და მენეჯერისათვის საჭირო და საინტერესო და ეკონომიკური საკითხები. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფართო გაგებით საფონდო ბირჟაა, ის ადგილია სადაც ლიცენზიის მქონე იურიდიული პირები (ბანკები და არასაბირჟო ორგანიზაციები) აწარმოებენ საბროკერო, სადილერო, საკლირინგო, სადეპოზიტო და სხვა სახის ოპერაციებს.

საფონდო ბირჟებზე მიმდინარე მოვლენების ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზი და განვითარების ტენდენციების დადგენა შეუძლებელია სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გარეშე. სწორედ ამ მეთოდების შესწავლას ემსახურება „საფონდო ბირჟების სტატისტიკა“. იგი წარმოადგენს საფონდო და სავალუტო ბირჟებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების და გადმოცემის მთელ სისტემას. მისი ძირითადი ინსტრუმენტია მაჩვენებლები სისტემა.

MKT 016 საერთაშორისო მარკეტინგი

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტის საერთაშორისო მარკეტინგის არსში გარკვევა უშუალოდ მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის ევოლუციაზე დამყარებით და მსოფლიო ბაზარზე ფირმების საქმიანობის მარკეტინგული პრობლემების შესახებ საჭირო ცოდნის მიწოდებით.

სტუდენტი შეისწავლის საერთაშორისო დონეზე მარკეტინგის ორგანიზაციის, ბაზრის სეგმენტაციის, ბაზრის მარკეტინგული კვლევის, სასაქონლო პოლიტიკის, საქონელმომძრაობის, ფასწარმოქმნის, რეკლამის, დაგეგმვის საკითხებს. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საერთაშორისო ფირმების, როგორც საერთაშორისო მარკეტინგის არსებობისა და მისი თეორიის გამოყენების ობიექტის, ორგანიზაციის საკითხების შესწავლასაც.

FIN 016 ფინანსური ინსტიტუტები

„ფინანსური ინსტიტუტები“ წარმოადგენს დისციპლინას, რომელიც ორიენტირებულია ფინანსურ ურთიერთობათა კონკრეტული სფეროს შესწავლაზე და გათვალისწინებულია ბიზნესის მართვის სპეციალობის სამაგისტრო პროგრამაში. საგნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს განიხილოს საკითხები, რომლებიც შეეხება თანამედროვე ფინანსური ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს - ფინანსურ ბაზარს, მის მონაწილე სუბიექტებსა და მიმოქცევაში მყოფ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამასთან, სწავლების სტრატეგია მოიცავს მოცემული დისციპლინის საბაზისო საკითხებისა და პრინციპების გადმოცემას, რაც სტუდენტს აძლევს საერთო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს მისი საგანი.

სპეციალიზაციის საგნების მოდული

ACC 512 ფინანსური აღრიცხვა II

„ფინანსური აღრიცხვა“ წარმოადგენს „ბუღალტრული აღრიცხვის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, რომელიც შეისწავლის საწარმოს მიმდინარე ხარჯებს და შემოსავლებს, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, ფინანსურ ინვესტიციებს და მათგან მიღებულ

შემოსავლებს, დაფინანსების წყაროების მდგომარეობას და სხვა, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების შესადგენად და წარსადგენად. ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება და გამიზნულია როგორც სამეურნეო სუბიექტის ადმინისტრაციის, ასევე გარე მომხმარებლებისათვის. ფინანსურ აღრიცხვას ფინანსური ინფორმაციის აუცილებელ ინსტრუმენტად თვლიან და სამეურნეო სუბიექტის შესახებ ფინანსური ინფორმაციის გაზომვის, დამუშავების და გადაცემის სისტემას უწოდებენ. გამომდინარე აქედან, კურსში განხილულია ფინანსური აღრიცხვის შემდეგი საკითხები: ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ზოგადი პრინციპები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ფულადი სახსრების, ინვესტიციების, მოთხოვნების, ვალდებულებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების, იჯარის, შემოსავლების და ხარჯების, საკუთარი კაპიტალის აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადების ტექნიკა და წესები.

FIN 620 ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რათა იგი აკმაყოფილებდეს ბიზნესის გაფართოებულ, სართაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამის მოთხოვნებს. ამიტომ, ფინანსური აღრიცხვა უნდა მომზადდეს ერთიანი სტანდარტული მეთოდოლოგიით. ასეთმა მოთხოვნებმა ასახვა ჰპოვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (ბასს), რომელიც შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ” ბასს აღიარებს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებად და სავალდებულოდ მიიჩნევს მის გამოყენებას. ყოველივე ეს ქმნის აუცილებლობას მაგისტრანტებმა სიღრმისეულად შეისწავლონ „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების” კურსი, რათა შესძლონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტში ჩამოაყალიბონ ბუღალტრული აღრიცხვის გამართული სისტემა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

FIN 518 ფინანსური ანალიზი

ბიზნესის წამატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მენეჯერთა მიერ მუდმივად განხორციელებდეს საქმიანობის როგორც შუალედური, ისე საბოლოო შედეგების სისტემატიური კონტროლი, რათა ოპერატიულად მოხდეს არასასურველი ტენდენციების გამოვლენა-აღმოფხვრა და წარმატებათა განზოგადება, როგორც საქმიანობის ცალკეული სფეროების ისე მთლიანად კომპანიის დონეზე. ყოველივე ამის საშუალებას კი ფინანსური ანალიზი იძლევა. სწორედ ამიტომ „ფინანსური ანალიზის” კურსის მიზანია მაგისტრანტებს შეასწავლოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტის ანალიზის მეთოდები, ფინანსური მდგომარეობის, ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ფულადი სახსრების გამომუშავების უნარის და ა.შ. შეფასების ტექნიკა თანამედროვე ელექტრონული პროგრამების გამოყენებით.

ACC 613 ფინანსური კონტროლი და აუდიტი

„საფინანსო კონტროლი და აუდიტი“ წარმოადგენს სასწავლო კურსს, რომლის მიზანია მსმენელების მიერ ადრე მიღებული ცოდნის სისტემატიზირება, მათთვის კომპლექსური ცოდნის გადაცემა და პროფესიონალი სპეციალისტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. დისციპლინის შესწავლა საფუძველს უქმნის სტუდენტებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთდროულად როგორც სახელმწიფო მართვის კონტროლის, ისე ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი კონტროლის სისტემა-მოქმედებაზე, რომელიც აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფს მართვის ყველა დონეს.

შესაბამისად, საგნის სწავლების სტრატეგია მოიცავს მოცემული დისციპლინის საბაზისო საკითხების შესწავლას, რაც სტუდენტს აძლევს საერთო წარმოდგენას კონტროლისა და აუდიტის გამოყენებაზე და მათ ჩატარებაზე, იმაზე, თუ რაში მდგომარეობს მისი არსი.

ACC 614 აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

აუდოტორული შემოწმება, როგორც არასახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმა, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში საუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოში იგი თავისი არსებობის მხოლოდ თხუთმეტიოდე წელს ითვლის. ეს ისტორია დაიწყო 1995 წელს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის“ მიღებით და დღემდე სისტემატურ დახვეწას და სრულყოფას განიცდის.

ქვეყანაში აუდიტორული საქმიანობის განხორციელება ხდება ზემოთ აღნიშნული კანონისა და აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს აუდიტის განხორციელების მთელ პროცესს, დამკვეთთან ხელშეკრულების დადებით დაწყებული აუდიტორული დასკვნის გაცემით დამთავრებული.

კურსის „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები“ მთავარი ამოცანაა, მიაწოდოს ბაკალავრს ინფორმაცია აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების შემადგენლობაში შემავალი თითოეული სტანდარტის შესახებ, რომლებიც არეგულირებენ აუდიტის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.